პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №49

20|9 წ. "19" 03

ქ.თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები

				სტუდენტებ ისათვის	სტუდენტები სათვის			
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე საფეხური	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	66	81	ქართული	112	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
2	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი (1)	მესამე საფეხური	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040163	70	85	ქართული	84	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
3	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	112	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
4	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (1)	მესამე საფეხური	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166	63	78	ქართული	112	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
5	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1)	მეოთხე საფეხური	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	127	157	ქართული	84	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
6	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1)	მეხუთე საფეხური	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	121	151	ქართული	112	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 19 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის ოქმის მეთოთხმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე